ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 63

"3" აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.17.002.005.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.17.002.005.01.034) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 11 მარტის №20.317.360 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა №3-ში, მე-3 სართულზე მდებარე ბინა №34-ის ფართით 36.06 კვ.მ (საკადასტრო კოდი: №01.11.17.002.005.01.034) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ნანი გოგატიშვილისთვის (პ/ნ 01003002573) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**